



## საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

### გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

მოსამართლე — მიმართ  
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის თაობაზე

15 ივნისი 2018 წელი

ქ. თბილისი

#### დისციპლინური საქმე №148/17

-- -- 2017 წლის 23 აგვისტოს №-- საჩივრის საფუძველზე, „საქართველოს საერთო სასამართლოების მოსამართლეთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და მე-7 მუხლის შესაბამისად (2018 წლის 01 მაისამდე მოქმედი რედაქცია), საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

წინასწარი შემოწმების შედეგად მომზადებული 2018 წლის 04 მაისის №148/17 დასკვნა დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წარდგენილ იქნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე განსახილველად.

**1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტზე:**

-- -- -- რაიონულ სასამართლოში 2017 წლის 27 აპრილს შეიტანა სარჩელი საჯარო რეესტრის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, რაზეც მოსამართლე -- -- ორჯერ დაუდგინა ხარვეზი. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლის მიერ დადგენილი ორივე ხარვეზი იყო უსაფუძვლო, იგი აგრეთვე უთითებს, რომ სასამართლომ

კანონით დადგენილ ვადაში არ გადაუგზავნა მოპასუხეს სარჩელი და თანდართული მასალები.

საჩივრის ავტორი თვლის, რომ სასამართლოს მხრიდან მოპასუხისთვის კანონით დადგენილ ვადაში სარჩელისა და თანდართული მასალების გადაუგზავნებლობის გამო, საჯარო რეესტრმა შეწყვიტა მის მიმართ საქმის წარმოება და წაერთვა უფლება დაეკანონებინა მისი კუთვნილი შენობა.

## **2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილ იქნა შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:**

-- 2017 წლის 27 აპრილს მიმართა სარჩელით -- რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ და მოითხოვა ქ. -- და -- ქუჩების გადაკვეთაზე მდებარე სკვერში არსებული შენობის მიერ დაკავებული მიწის ნაკვეთის კორექტირებასთან დაკავშირებით, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა.

-- რაიონული სასამართლოს მოსამართლის -- 2017 წლის 01 მაისის განჩინებით, წარმოდგენილ სარჩელზე -- დაუდგინდა ხარვეზი და მიეცა 10 დღიანი ვადა ხარვეზის აღმოსაფხვრელად.

განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ -- წარადგინა 2017 წლის 15 მაისს.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 22 მაისის განჩინებით, წარდგენილ სარჩელზე -- ხარვეზის შესავსებად დადგენილი საპროცესო ვადა გაუგრძელდა 5 დღით.

განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ და დაზუსტებული სარჩელი -- წარადგინა 2017 წლის 31 მაისს.

-- რაიონული სასამართლოს 2017 წლის 05 ივნისის განჩინებით, სარჩელი მიღებულ იქნა სასამართლო წარმოებაში და ცნობილ იქნა დასაშვებად.

-- რაიონული სასამართლოს მოსამართლის თანაშემწის 2017 წლის 05 ივნისის წერილით, მოპასუხეს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს (მათ შორის იმერეთის რეგიონულ ოფისს) გადაეგზავნა მოსარჩელე -- სარჩელის, დაზუსტებული სარჩელის და თანდართული მასალების ასლები, განცხადება ხარვეზის შევსების შესახებ მასალებთან ერთად - „34“ ფურცლად, რაც ადრესატს ჩაბარდა 2017 წლის 07 ივნისს.

მოსარჩელის მიერ 2017 წლის 09 და 14 აგვისტოს -- რაიონულ სასამართლოში წარდგენილი იყო განცხადებები, სადაც იგი აცხადებდა, რომ 2017 წლის 31 მაისის სარჩელი და თანდართული მასალები არ გადაგზავნია მოპასუხეს.

2017 წლის 05 სექტემბრის წერილით, მოპასუხეს - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს,

გადაეზავნა მოსარჩელის განცხადებები და თანდართული მასალები.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ -- რაიონულ სასამართლოში შესაგებელი წარდგენილ იქნა 2017 წლის 30 ოქტომბერს.

მოსამართლე -- -- 2017 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილებით -- -- სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

2017 წლის 27 დეკემბრის გადაწყვეტილება -- -- -- სააპელაციო სასამართლოში გასააჩივრა 2018 წლის 12 იანვარს და მიმდინარე პერიოდისთვის, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში გრძელდება საქმის განხილვა.

### **3. საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს მოსამართლის დისციპლინური გადაცდომის სახეებს. იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს.

საქართველოს კონსტიტუციის 84-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, არავის არა აქვს უფლება მოსთხოვოს მოსამართლეს ანგარიში კონკრეტულ საქმეზე. „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამართლე თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია. მოსამართლე ფაქტობრივ გარემოებებს აფასებს და გადაწყვეტილებებს იღებს მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებისა და ნორმების, სხვა კანონების შესაბამისად და თავისი შინაგანი რწმენის საფუძველზე. ამასთან, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, დისციპლინური სამართალწარმოების დროს დაუშვებელია მოსამართლის მიერ გამოტანილი აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 446-ე მუხლის მიხედვით, ამ კოდექსის 445-ე

მუხლის შესაბამისად სარჩელის მიღების შესახებ სასამართლო განჩინების გამოტანის შემდეგ ან ასეთი განჩინების გამოტანის ვადის გასვლის შემდეგ მოსამართლე ვალდებულია გასცეს განკარგულება ამ სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების ასლების მოპასუხისათვის ამავე კოდექსის 448-ე მუხლით დადგენილი წესით გადაგზავნის შესახებ.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 447-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მოსამართლე გამოარკვევს, რომ სარჩელი შეტანილია ამ კოდექსის 177-ე მუხლის მე-3 ნაწილში ან/და 178-ე მუხლში (გარდა იმავე მუხლის პირველი ნაწილის „თ“ და „ი“ ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილისა, თუ მოსარჩელეს მითითებული აქვს მტკიცებულებათა წარუდგენლობის საპატიო მიზეზი) მითითებული პირობების დარღვევით ან/და არ არის წარდგენილი სარჩელისა და თანდართული დოკუმენტების იმდენი ასლი, რამდენიც მოპასუხეა, ან/და სარჩელს არ ერთვის სახელმწიფო ბაჟის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი ან/და წარმომადგენლის უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი, სასამართლო გამოიტანს ხარვეზის შესახებ განჩინებას და მოსარჩელეს დაუნიშნავს ვადას მის შესავსებად. თუ მოსარჩელე დანიშნულ ვადაში შეავსებს განჩინებაში მითითებულ ხარვეზს, სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღების შესახებ; წინააღმდეგ შემთხვევაში სასამართლო გამოიტანს განჩინებას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე უარის თქმისა და მოსარჩელისათვის მისი დაბრუნების შესახებ, რაზედაც შეიძლება კერძო საჩივრის შეტანა. ასეთი განჩინების გამოტანის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟი მთლიანად უნდა დაბრუნდეს.

განსახილველ შემთხვევაში -- -- სარჩელზე მოსამართლემ განჩინებით დაადგინა ხარვეზი, რისი საფუძვლიანობის შემოწმება და კანონიერებაზე მსჯელობაც, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, ვერ მოხდება დისციპლინური სამართალწარმოების ფარგლებში.

რაც შეეხება, საჩივრის ავტორის მითითებას მოპასუხისათვის სარჩელისა და თანდართული მასალების კანონით დადგენილ ვადაში გადაუგზავნელობის საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ საქმის მასალების მიხედვით, სარჩელის, დაზუსტებული სარჩელის და თანდართული მასალების ასლები მოპასუხეს სასამართლომ გადაუგზავნა 2017 წლის 05 ივნისს, სარჩელის წარმოებაში მიღების დღეს, რაც ადრესატს ჩაბარდა 2017 წლის 07 ივნისს. ამდენად, საჩივარში აღნიშნული გარემოება სასამართლოს მიერ სარჩელისა და თანდართული მასალების მოპასუხისათვის კანონით დადგენილ ვადაში გადაუგზავნელობასთან დაკავშირებით, შემოწმების შედეგად არ დადასტურდა.

საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების დეტალური ანალიზის შედეგად, არ გამოიკვეთა 2017 წლის 23 აგვისტოს №-- საჩივარში მითითებული „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლით განსაზღვრული რომელიმე დისციპლინური გადაცდომის ნიშნები. ამ ვარაუდის დამადასტურებელი მტკიცებულებები

არც საჩივრის ავტორის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.

#### **4. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:**

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ არ არსებობს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75<sup>1</sup> მუხლით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი. შესაბამისად, 2018 წლის 15 ივნისის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 15 წევრთაგან 15 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით, 75<sup>10</sup> მუხლის მე-5 პუნქტითა და 75<sup>12</sup> მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით და

## გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

დისციპლინურ საქმეზე №148/17 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის  
უმაღლესი საბჭოს მდივანი